სახალხო გაგეთილი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 1022

დამატების № 180

კვირა, 20 ოქტომბერი 1913 წ.

უნიადაგონი

პიესა 4 მოქმედებად.
(შემდეგი *)

შემოდის **ალექსანდრე.**

ალ. (გაშეშებული დგას. დარო შეხედავს და მოშორდება. გრიშამ სირცხვილით თავი დახარა, მერე წელში გასწორდა და თვალებში მიაჩერდა. დიდი პაუზა. ალ-რე შეტრიალდა, შევარდა კაბინეტში. დარო მიხვდა, სწრაფად გრიშას წინ დაუდგა. გაოფთრებული ალ-რე, რევოლვერით ხელში გამოვარდა, ასწია ხელი და დაუმიზნა. დარომ ხელები გაშალა და გული მიუშვირა).

დარ. (ყრუდ) აჰა, მესროლე!

ალ. (ხელს დაუშვებს, გრიშას მისჩერებია. გრიშა ამაყად სდგას. P. ყრუდ) არამზადავ!

გრიშა. ბატონო ჩემო, მესმის თქვენი მდგომარეობა... ეხლა ისეთ წუთებს განიცდით, რომ...და ვერც მოგთხოვო უფრო ზრდილობიან ლაპარაკს.

ალ. ქურდო!

გრიშა. მე თქვენთვის არაფერი არ მამიპარავს.

ალ. მტაცებ ბედნიერებას, შე...

გრიშა. თქვენ მომტაცეთ ბედნიერება, იგი იმთავითვე მე მეკუთვნოდა... თუ გნებავთ, ჰკითხეთ თქვენს ცოლს..



არჩილ ჯორჯაძე. ნახატი მრევლიშვილის მიერ 1910 წელს.

დარ. დიახ, ამას ეკუთვნოდა.

ალ. როგორ? (ცოლ-ქმარნი ერთმანეთს მისჩერებიან. P) იმედი მაქვს, მიხვდებით, რომ ეხლა მესამე პირი აქ მეტია.

გრიშა. დიახ, ვიცი!.. და დარწმუნებული ვარ, იმდენად პატიოსანი ხართ, რომ მანდილოსანს შეურაცყოფას არ მიაყენებთ...

ალ. ეგ ჩემი საქმე გახლავთ, მოწყალეო ხელმწიფევ!

გრიშა. მართალია, მაგრამ ქ-ნ დაროს ბედიღბლით მეც დაინტერესებული ვარ... ვწუხვარ, რომ ყველაფერი ასე გათავდა... თუ საჭიროდ დაინახოთ, ჩემი ადრესი უკვე იცით და მიც მზად გახლავართ თქვენდა სამსახურად. (გადის).

ალ. (კარებს მოხურავს აღელვებული დადის. მივა დარისთან და წინ დაუდგება) აბა, ეხლა ჩვენ დავიწყოთ!

დარ. დაიწყეთ! ყურს გიგდებთ!

ალ. კაბინეტში წავიდეთ... აქ რუსია გაიგებს...

დარ. რუსია ბალშია.

ალ. შეიძლება ვინმე შემოგვესწროს.

დარ. არავისთან დასამალი არა მაქვს რა! ქურდი არა ვარ! დღემდის, დიახ, ვქურდავდი ჩემს გულს, გრძნობას... დღეს-კი მეტი ქურდობა არა მსურს.

ალ. (P) მაშ ეგრე?!

დარ. დიახ! მე მიყვარს გრიშა!

ალ. ვიცი ეგ თქვენი სიყვარული... დედაკაცური ჟინი...

დარ. ხმა! ნებას არ მოგცემ ჩემი წმინდა გრძნობა შეურაცხჰყო.

ალ. არც კი გრცხვენია!..

დარ. რისა უნდა მრცხვენოდეს?

ალ. არ გესმის?

დარ. დიახ, არ მესმის და ამიხსენი.

ალ. ჰმ... არ ვიცი... არა გამეგება რა! ესეც თუ არ გესმის...

დარ. მე არაფერი დანაშაული არ ჩამიდენია.

ალ. (თვალებში ჩაჩერდება) ან გიჟი ხარ, ან მე სიზმარში ვარ!.. ქმარ-შვილიანი ქალი უცხო კაცს კისერზე ჩამოკიდებიხარ!.. ოჯახს არცხვენ, ქმარს ღალატობ!

დარ. სტყუი! მე შენთვის ჯერ არ მიღალატნია! გიკვირს განა?

ალ. სულ ერთია, დღეს არა—ხვალ მიღალატებ!

დარ. დიახ, თუ არ ამხსენი ეგ შენი ხუნდები... ჩემი თავის იმედი არა მაქვს... მე ჯადოქარი არა ვარ, არც მხეცების დამამშვიდებელი.

ალ. მე შენ ველარა გცნობ!

დარ. მჯერა! 18 წლის განმავლობაში პირველად გესმის ჩემი ხმა... ოღონდაც, გეუცხოვება, მაგრამ მეტი აღარ შემიძლიან... ხომ გახსოვს, რა პირობებში შემირთე?.. იცოდი, რომ არ მიყვარდი, არ მომწონდი, მგონი ეჭვიც გქონდა—სხვა მიყვარდა, მაგრამ ჩემს მშობლებს ჩემი გაბედნიერება სურდათ და შენც ამით ისარგებლე!.. შენ, მხეცს, ჩემი ლამაზი ხორცი გშიოდა... არაფერს არ დაერიდე და როცა მოჰკალ შენში ეგ

*) იხ. სურათებიანი დამატება № 179.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის სათ.-აზნ. საადგილ

(რომელსაც აშენებენ ლორის



შენობის ფასადი ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

პირუტყვი, როცა გაძეხ ხორცით, მერე სხვებზე დაიწყე ნადირობა... შენა გგონია, არ ვიცი შენი გარყვნილი ცხოვრება? მაგრამ ვსდუმდი! ვითმენდი ხმა-გაკმენდილი, ვიტანჯებოდი, სირცხვილით ვიწოდი, მაგრამ ჩემს წყლულებს ანელებდა მოგონება ჩემი პირველი, წმინდა და სპეტაკი სიყვარულისა... დავმორჩილდი ჩემს ბედს და ველოდი მას, ჩემს პირველ სიყვარულს... ველოდი, როდის მოვიდოდა და გატანჯულს, განაწამებს მაგრძნობინებდა ბედნიერებას... აი მოვიდა! ეხლა-კი ვერავითარი ძალა, ვერავითარი შიში ერთმანეთს ვერ გაგვაშორებს.

ალ. ვნახავთ, თუ ვერ განგაშორებ.

დარ. რას აპირებ?

ალ. ის მე ვიცი.

დარ. მაშ ჯერ მომკალ, მერე რაც გსურს ის ჩაიდინე.

ალ. შენ არა და იმ ვაჟბატონს კი მოვკლავ!

დარ. მაშინ მე შენ მოგკლავ!

ალ. ოჰო!

დარ. დიახ, მოგკლავ და თავსაც მოვიკლავ.

ალ. სიკვდილი გირჩევნია ამ სირცხვილს.

დარ. სიკვდილი მირჩევნია შენთან ცხოვრებას.

ალ. (გააფთრებული მივარდება) ოო, როსკიპო!

დარ. (მამაცურად სდგას) უსინდისო!

ალ. (P. დადის. დარო აღელვებული ცახცახებს) კარგია... მაპატიე, გავცხარდი!.. მოდი აქ დაჯექ! (ჯდება).

დარ. სთქვი, ყურს გიგდებ.

ალ. შენ გონიერი ქალი ხარ... მოვილაპარაკოთ გულდასმით... არა როგორც ცოლ-ქმარნი,—როგორც მეგობარნი... ვიცი, ეგ ნაბიჯი მოუფიქრებლად გადასწყვიტე.

დარ. დიდი ხანია მოფიქრებული ჰ გადაწყვეტილი მაქვს... მხოლოდ მის მოსვლას ველოდი.

ალ. კარგად დაუფიქრდი, რას სჩადიხარ?! რას იტყვის ხალხი, საზოგადოება, რომელიც სამაგალითო დედათა გთვლიდა?

დარ. თუ მთვლიდა, ამის ღირსიც ვიყავი... არც ერთხელ არ დამირღვევია თქვენი საზოგადოებრივი კანონები... როგორც ფხიზელი ძაღლი, ისე ვიცავდი მის სიწმინდეს და ამ სიწმინდით ვფარავდი შენს გარყვნილებას, რომელიც ოჯახში შემოგქონდა... ჰო, კარგი, ამაზე აღარ ვილაპარაკებ... ხომ ხედავ, ეს საყვედური პირველად გესმის და როგორ გწყინს... რატომ ერთხელ მაინც არ იფიქრე, რომ შენი ყოფა-ქცევა მეც მეწყინებოდა?! ეხლა ხომ დარწმუნდი, მთელი შენი სიცოცხლე მხოლოდ შენს პირად ბედნიერებაზე ზრუნავდი... მე-კი შენზე, შვილებზე და ოჯახზე... საზოგადოებამ რა უნდა დამცინოს?.. რა უნდა დამაყვედროს? ისა, რომ ნიღაბს არ ვატარებ და ფარისეველის სიწმინდით არ ვიღიმები? ეს ხომ უარესი დანაშაულია, ვიდრე მე ჩავდივარ... სხვები დანაშაულს სჩადიან და სდუმან, მე-კი ჯერ არ ჩამიდენია და ვამბობ... მე ვითხოვ ჩემს უფლებას!

ალ. დაფიქრდი, დარო, რა დანაშაულს სჩადიხარ!.. შენ არღვევ ოჯახს...

დარ. სიყალბეზე აკოწიწებულ ოჯახს ვერავითარი ძალა ვერ შეიმაგრებს... თავისთავად დაირღვევა!

ალ. შვილები? შვილებს რაღას ეუბნები?

დარ. შვილები მაპატიებენ! მიმიხვდებიან და არ გამკიცხავენ. ჩემს შვილებს რომ ბნელ კუთხეში დაენახათ ფარულად ჩემი ხვევნა-კოცნა საყვარლებთან, უფრო გამკიცხავდნენ და არც ასე სპეტაკნი აღიზრდებოდნენ... დღემდის არავითარი სიმწარე არ უგრძვნიათ.

ალ. დღეს-კი?

დარ. (ცრემლი ერევა) რა ვქნათ?!

ალ. (P. ხმის კანკალით) მე? მე რას მიპირებ?

დარ. შენ რაღა გინდა მეტი, ნეტა ვიცოდე? სულის გარდა ყველაფერი წამართვი... სულს-კი ვერ დაგანებებ.

ალ. მხოლოდ გიჟს თუ შეუძლიან ასე ლაპარაკი.

ძმ. კანდელაკების ღვინის სარდაფის წინ ექსკურსანტები ღვინოს აჭაშნიკებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულო ბანკის ახალი შენობა

მელიქოვის ქუჩაზე).



შენობის გვერდი გრაფის ქუჩაზე.

დარ. კმარა, დავანებოთ ამას თავი... მე უნდა გაგშორდე.

ალ. ნორა, ქეთევან!.. ოღონდაც, განათლებული, ახალი მიმართულების ქალი ხარ!

დარ. არც ერთი ვარ და არც მეორე...

ალ. ვხედავ, ის აღარა ხარ, რაც იყავ!

დარ. გიკვირს, პირველად გაიგონე ჩემი ხმა.

ალ. რაც უნდა მოხდეს, მე შენ არსად გაგიშვებ.

დარ. რაც უნდა მოხდეს—უნდა წავიდე.

ალ. ვნახოთ!

დარ. ნუ მაიძულებ ძალა ვიხმარო.

ალ. სირცხვილი, თავის მოჭრა!..

დარ. სახლში რომ საყვარელი შემოგიყვანო, მეტი სირცხვილი და თავის მოჭრა იქნება შენთვის.

ალ. სანამ ამ სირცხვილს მამაყენებდე, მე ვიპოვნი საშუალებას!..

დარ. ვერავითარი საშუალება ვერ შემაჩერებს.

ალ. მე ვიცი შენისთანების ალაგვმა.

დარ. ვნახოთ!

ალ. ვნახოთ!

დარ. კმარა! აღარ მეშინიან შენი! მეყო ამდენი ხნის მონობა!



ძმ. კანდელაკების ღვინის სარდაფი „შარანი" სოფ. ნიკიტაში.

ალ. ოო, რა მაღალი სიტყვებია!

დარ. ნუ დამცინი! მთელი საზოგადოება მოხიბლე, მე-კი გიცან, რა შვილიცა ხარ.

ალ. (P. დადის) ბავშვებმა იციან?

დარ. არა!

ალ. მაშ რას აპირებ?

დარ. ზურას გამოვუტყდები... რუსიასი მეშინიან—ვერ აიტანს.

ალ. ზურა ჩვენთან აღარ ცხოვრობს...

დარ. (ხარდაცემული) როგორ თუ აღარ ცხოვრობს?

ალ. ჰმ, ისე გაგიტაცა შენმა რომანმა, რომ ორი დღეა შვილი სახლში აღარ გინახავს და არც იკითხე,—სად არისო.

დარ. აკი მითხარი—დეიდასთან არისო?

ალ. ვიცრუე.

დარ. (დიდხანს მისჩერებია) სად არის ეხლა?

ალ. არ ვიცი.

დარ. რად გააგდე?

ალ. (სდუმს).

დარ. შენ გეკითხები,—რად გააგდე? გაუxავრდი რაზედმე?

ალ. არა!

დარ. მაშ რათა?

ალ ჰმ... ფული მთხოვა... არ მივეცი და...

დარ. მთელ სიცოცხლეში ერთხელ მაინც მითხარი სიმართლე... გთხოვ...

ალ. (აირია).

დარ. (დაჟინებით მისჩერებია).

ალ. ერთი კაცის ფული მემართა, ვერ მივეცი, გამლანძღა... ზურამაც გაიგონა...

დარ. რად ისესხე?

ალ. არ მისესხნია...

დარ. მაშ რად გამოართვი?..

ალ. ისე... რაღაც საქმე მომანდო.—

დარ. ქრთამი?

ალ. როგორ თუ ქრთამი?

დარ. დიახ, ქრთამი!..

ალ. (გაბრაზებული) დარო, შენ მეტ ნებას აძლევ შენს თავს... არაფერში ანგარიშს არ გაძლევ! კმარა!

დარ. (თვალებში ჩასცქერის, მიაფურთხებს და მიდის).

ალ. (წინ გადაუდგება) სად მიდიხარ?

დარ. ამის შემდეგ კიდევ იტყვი შენთან დავრჩე? გამიშვი!

ალ. არ გაგიშვებ! ძალას ვიხმარ!

დარ. შენგან აღარაფერი გამიკვირდება! გზა! (გადის).

ალ. (დიდ ხანს გარინდებული დგას. მიდის დაროს ოთახთან, გაჩერდება, რაღაცას ფიქრობს, გამობრუნდება და შედის თავის ოთახში. სცენა ცარიელია, სამზარეულოში ისმის ზღარის ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდიან **დარო** და **გადია**.

დარ. (შლაპას იხურავს) გადია, რუსიას მიხედე... მე... შეიძლება ამაღამ ვერ მოვიდე...

გადია. სად მიდიხარ ამ შუაღამისას?

დარ. შენს ბატონს ჭირა გაუგდია სახლიდან... იმასთან მივდივარ... რუსიამ თუ მიკითხოს,—უთხარი მძინავს... ჩადი ქვემოდ—ალაყაფის კარი გამიღე... არ მინდა მეკარემ მნახოს... რამ გაგაშტერა, დედაკაცო?.. არ გესმის?

გადია. ღმერთო, ნუ გადამრევ!.. რატომ მომასწარი ამ ღღეს?.. (მიდის) როგორ აქცევენ ამ ოჯახს... როგორ გამოუთხარეს ძირი!.. (გადიან. თავის ოთახიდან შემოდის რუსია. სახე მკრთალი, დატანჯული. ფანჯარასთან დადგებადა იცქირება. ღონე მიხდილი იქვე სავარძელში ჩაეშვება).

შემოდის **გადია**.

გადია. (რუსიას ოთახისაკენ ფეხ-აკრეფით მიდის, რუსიას დაინახავს და შიდგება) ღმერთო შემიწყალე!.. რატომ არა გძინავს შვილო? (P) რათა ხარ ეგრე, გენაცვალოს გამდელი? რუსია, შვილო!

რუსია. (ხელებს გაუწვდის, თავისკენ მიიზიდავს, გულზე მიეკვრება და ტირილი აუვარდება) გადია... გადია!

გადია. მოგიკვდეს შენი გამდელი, რა იყო? რათა სტირი? იმდენს დასეირნობ, დაღალე და ავად გახდი...

რუსია. გადია, ჩემო გადია! (ისტერიკა მოსდის. კაბინეტიდან ალ-რე გამოვარდება).

ალ. რა იყო, რა მოხდა კიდევ? რუსია, რა მოგივიდა?

რუსია. (გაექანება მამას გულზე მიეკვრება და სტირის. ალ-რე მიხვდა, გულში ჩაიკრა, ჰკოცნის და უალერსებს. გადია გაშტერებული დგას).

ფ ა რ დ ა.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა მ ე ო თ ხ ე.

იგივე ოთახი. დღეა.

ელენე და **ალექსანდრე**.

(ელენე სავარძელში ზის ჩაფიქრებული).

ალ. (აღელვებული ოთახში დადის) არ ვიცი, შენ რა თვალით უყურებ ამ საქმეს, მე-კი... ჩემი გონება ვერ შერიგებია ამას... როგორ? ამოდენა შვილების დედა აჰყვეს თავის გულს...

ელ. რას იზამ... ადამიანის გული...

ალ. ადამიანი კი არა,—პირუტყვია!.. მაგრამ პირუტყვმაც კი იცის მშობლიური გრძნობა... ლაგამ წაყრილი დედაკაცი ყოველგვარ პირუტყვზე უარესია.

ელ. მე არ ვამართლებ დაროს... სიტყვებიც ვერ მიპოვნია მის გასამართლებლად, მაგრამ შენც მიგიძღვის მასთან დანაშაული.

ალ. რაში?

ელ. ყველაფერში... აი, თუნდა იმაში, რომ...

ალ. დაიწყე თავიდან: არ ვუყვარდი და ძალათ შეეირთე.

ელ. თუნდაც ეგა...

ალ. ეგ მიზეზი მხოლოდ შენისთანა გულუბრყვილო ადამიანებისთვის თუ კმარა... რამდენი ქალი თხოვდება შეუყვარებლად, მაშ ყველამ უნდა საყვარლები გაიჩინონ?!

ელ. ქალიც არის და ქალიც!..

ალ. დიახ! არის ქალი და არის პირუტყვი!.. მხეცი!

ელ. არც ასეთი სიმკაცრე ვარგა...

ალ. ოღონდაც!.. აკი გითხარი: პირუტყვს დედობრივი გრძნობა მეტი აქვს, ვიდრე დაროს... შედარებაც არ შეიძლება.

ელ. დაროს ქმარი თუ არ უყვარდა, შვილებს ხომ მაინც აღმერთებდა... შენ კი არც ერთი არ გყვარებია.

ალ. ეხლა შენდა მაკლიხარ... შენც დაიწყე!..

ელ. ჰო და რა არი? შენი გარყვნილი ცხოვრებით ნელ-ნელ ძირს უთხრიდი შენს ოჯახს და აკი დაინგრა კიდეც...

ალ. ქალს უნდა ჰქონდეს...

ელ. დარო ყველაფრით უნაკლო ქალი იყო...

ალ. დამაცადე, ნუ მიშლი! ქალს თითონ უნდა ჰქონდეს ქალური სირცხვილი და ადამიანური გრძნობა... თქვენი მიზეზები სულ ტყუილია... როცა ქალს მოუნდება გარყვნილების გზას დაადგეს, უსათუოდ ქმარზე უნდა იჩივლოს და ზოგჯერ ისეთ მიზეზს გამოუგონებს ხოლმე, რომ მკვდარიც კი გაწითლდება სირცხვილით. მაგვარი ცოლები თავიანთ გარყვნილებას ქმრებს ახვევენ თავზე... რომელი ქმარი ცხოვრობს ჩემზე პატიოსნად? რომელ ქალსა აქვს დაროზე უკეთესი ცხოვრება? აბა, ერთი მაინც დამისახელე! თვალებში მივჩერებოდი, სულ იმაზე ვფიქრობდი—რა აკლია და რა ესიამოვნება-მეთქი...

ელ. ჰო და სწორედ ის ვერ მიანიჭე, რაც აკლდა...

ალ. რა აკლდა? კურო!..

ელ. (უკმაყოფილოდ მოიღუშება).

ალ. მაპატიე უზრდელობა, მაგრამ შენ გესმის ჩემი მწუხარება... დიახ, სწორედ კურო აკლდა, საყვარელი... მოსწყინდა ერთფერობა, ერთი და იგივე, ანტურაჟი და „მის დიად ბუნებას მოსწყურდა განავარდება“... საპატრო მიზეზია!.. საუკეთესო მაგალითი შვილებისათვის! ასე მოიქცეს ჩვენი შვილები, ამ მაგალითს მიბაძონ სხვებმა... და მაშინ რას დაემზგავსებოდა ჩვენი ოჯახები, ჩვენი საზოგადოება?!..

ელ. ალექსანდრე, ღმერთმანი ისე ლაპარაკობ, თითქო გრძნობის ჩაყენება და აღიზიანება ადამიანის ხელთ იყოს!

ალ. სწორედ ჩვენს ხელთ არის!.. როგორც მინდა ისე მოვქნი ჩემს გრძნობას...

ელ. თუ ეს მას არ შეუძლიან?

ალ. მოკვდეს! თავი მოიკლას!..

ელ. რა ადვილად ამბობ!

ალ. ვამბობ და ვიტყვი კიდეც... უზნეო ადამიანი, საზოგადოების გამხრწნელია... იგი უნდა მოისპოს...

ელ. შენ რომ უფლება გქონდეს ყველა შეყვარებულებს მოჰკლავდი.

ალ. დიახ, თუ ისინი ოჯახს დამირღვევენ, შვილებს უპატრონოდ დამიყრიან—მოვკლავ. და სხვებსაც ვურჩევდი ასევე მოიქცნენ.

ელ. საკვირველია, რატომ მაშინ არა მსჯელობ ასე, როცა სხვის ცოლებს ეარშიყები?

ალ. შენ მუდამ ოხუნჯობის გუნებაზე ხარ... (P. აღელვებული ბოლთასა სცემს).

ელ. მაშ რა ვქნათ ეხლა?

ალ. რისა?

ელ. რისთვისაც მოვედი?..

ალ. არა, არ შემიძლიან!.. რაკი წავიდა-წავიდეს!..

ელ. ერთი შენ იყო დაროს ადგილას!..

ალ. თავმოყვარეობა ნებას არ მომცემდა მზგავსი რამ მეთხოვნა.

ელ. ავადმყოფი შვილი აქ ეგულება, რა დროს თავმოყვარეობაა...

ალ. თუ ჰყვარებოდა არც სახლიდან გაიქცეოდა... ეხლა რომ ნება მივცე რუსიას ნახვისა, მერე ეს ჩვეულებად გადაიქცევა... მე-კი, როგორც ბაბაყული ქმარი ამას გულგრილად უნდა ვუცქირო... ჩემი ცოლი მუდამ დღე საყვარლიდან გამოისეირნებს, ინახულებს თავის შვილებს და ისევ საყვარელთან გაისეირნებს და ასე ამ გვარად.... მშვენიერებაა!..

ელ. ეს ერთხელ მიეც ნება და სიტყვას გაძლევ აღარ განმეორდეს...

ალ. არ შემიძლიან!..

ელ. განა არ იცი, დედა უფრო მოუვლის ავადმყოფ შვილს.. როცა გამოკეთდება, მერე აღარ ივლის...

ალ. მე თითონაც მშვენივრად ვუვლიდი... ეხლა უკეთ არის... დღეს ბაღშიაც სეირნობდა...

ელ. ეს ყველა კარგი, მაგრამ ზურა?

ალ. რა ზურა?

ელ. ზურას რა პასუხი მივცე? ზურამ არ იცის რა ხდება თქვენ შორის.

ალ რატომ არ გააგებინეთ?

ელ. ყმაწვილს ჯერ ერთიც ვერ მოუნელებია და ამ უბედურებასაც როგორ ვეტყოდით!..

ალ. მაშ მიზეზი აღარ იკითხა, რომ დედა მისი ორი დღეა სახლში არ მოდის?

ელ. ჩვენ ისე ვეუბნებით—ვითომ დარო მისი ხათრით აღარ მოდიოდეს შენთან.

ალ. რუსიას ავადმყოფობა იცის?

ელ. არა.

ალ. რომ გაიგოს არ მოვა?

ელ. როცა შენგან დაროს მოსვლის ნებართვას მივიღებ მაშინ იმასაც გავუმჟღავნებ და მოვიყვან...

ალ. ჰმ... ბნელით მოცულ საიდუმლოებაში ვცხოვრობთ...

ელ. რას იზამ? თუ კი ასე მოეწყო?

ალ. მე კიდევ სულ სხვანაირად გადავაწყობ... საჭირო არ არის ნიღაბის ტარება შვილთან... ის თუ კარგი სული იყოს, ზურას ყველაფერში გამოუტყდებოდა... მე თითონ მივწერ ზურას ყველაფერ სიმართლეს და თვალს ავუხელ.

ელ. დარწმუნებული ვარ ჯერ არ შეშლილხარ...

ალ. დიახ, ასე ვიქ!.. სულ ერთია, ხომ უნდა გაიგოს...

(დასასრული იქნება).

ვალ. შალიკაშვილი.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორი ა. ჭუმბაძე. გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.